

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
ფინანსური ანგარიშგება - სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	4

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური
ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე, 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის**


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, საქმიანობის შედეგებს და კაპიტალში ცვლილებებს, ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის მიხედვით.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმო არ აპირებს და ასევე, პროგნოზირებად მომავალში ჯგუფის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა, ასევე, პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის თარიღისათვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 12 სექტემბერს.

დირექტორი  ი.ქაროსანიძე

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ერთეული ლარი)

	2021	2022
შემოსავალი	3,884,017	2,990,105
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(1,963,480)	(1,344,718)
საერთო მოგება	1,920,537	1,645,387
საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	(1,256,447)	(1,214,269)
საოპერაციო მოგება	664,090.00	431,118
ფინანსური ხარჯები	(-48,439)	(-97,267)
(ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან	259	1088
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(9,819)	(10,207)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	606,091.00	324,732
მოგების გადასახადი	(227,703)	(50,842)
გადავადებული მოგების გადასახადის შემოსავალი		
წმინდა მოგება/ზარალი	378,388.00	273,890

დირექტორი ქახიანიძე ი.ქაროსანიძე

**შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება (ერთეული ლარი)**

	2021წ	2022 წ
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	557,415	496,492
საინვესტიციო ქონება	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0
სულ, გრძელვადიანი აქტივები	557,415	496,492
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	38,759	43,371
სავაჭრო მოთხოვნები	441,333	316,908
გადახდილი ავანსები	27,060	31,261
მარაგები	94,734	80,756
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0
სულ, მოკლევადიანი აქტივები	601,886	472,296
სულ, აქტივები	1,159,301	968,788
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	5,000	5,000
გაუნაწილებელი მოგება	87,827	73,612
სულ, კაპიტალი	92,827	78,612
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სასესხო ვალდებულებები	934,592	767,791
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულება	52,444	30,554
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	79,430	91,129
სხვა ვალდებულებები	8	702
საგადასახადო ვალდებულება		
სულ, მოკლევადიანი ვალდებულებები	131,882	122,385
სულ, ვალდებულებები	1,066,474	890,176
სულ, კაპიტალი და ვალდებულებები	1,159,301	968,788

დირექტორი:

ქაჩიაშვილი


ი.ქაროსანიძე

შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგება (ერთეული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021 წელი	5000	87,827	92827
31 დეკემბერი 2022 წელი			
2022 წლიური მოგება		324732	
გაცემული დივიდენდი		338,947	
31 დეკემბერი 2021 წელი	5000	-14215	78612

დირექტორი



ი.ქაროსანიძე

შპს "საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი" ფულადი სახსრების მოძრაობა 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ერთეული ლარი)

1	ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	486,019
1.1	წმინდა მოგება	273,890
1.2	ცვეთა და ამორტიზაცია (+)	87,424
1.3	მოგება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან (-)	
1.4	დებიტორული დავალიანების ზრდა (-)	120224
1.5	კრედიტორული დავალიანების ზრდა (+)	-9497
1.6	მარაგების ზრდა (-)	13978
1.7	წინასწარ გაწეული ხარჯების შემცირება (+)	
1.8	დარიცხული ვალდებულებების ზრდა (+)	
1.9	გადავადებული გადასახადების ზრდა (+)	
1.1	შვ. კომპანიიდან მიღებული მოგება (+)	
1.11	შვ. კომპანიიდან მიღებული ზარალი (-)	
2	ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-314606
2.1	- ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შეძენა	-26501
2.2	+ ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების გაყიდვა	
2.3	- კაპიტალური ხარჯები	
2.4	+ მიღებული დივიდენდები	-288,105
3	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-166,801
3.1	+ შემოსულობანი აქციათა ემისიიდან	
3.2	+ შემოსულობანი სესხებიდან	
3.3	- ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ვალდ.-ის განაღდება	
22	- გადახდილი სასესხო ვალდებულებები	
23	+ ბიზნესში ინვესტირებული ფული	-166,801
4	წმინდა ფულადი სახსრები	4612
5	ფულადი სახსრ. პერიოდის დასაწყისში	38759
6	ფულადი სახსრ. პერიოდის ბოლოს	43371

დირექტორი ქახიანიძე ი.ქაროსანიძე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“ დარეგისტრირდა 1999 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი ი.ჯავახიშვილის ქ.#43, ხოლო კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობა და პოსტდიპლომური წავლება. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 202905945.

2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლებია:

დამფუძნებლები	2021წ	2022წ
1. ირინე ქაროსანიძე	50%	50%
2. უმანგი კილაძე	50%	50%

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად, ხელმძღვანელობის მიერ, 2022 წლის 12 სექტემბერს.

2. მომზადების საფუძვლები ახალ სტანდარტებზე გადასვლა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, რაც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ. კომპანია ამზადებს ამ სტანდარტის მიხედვით ანგარიშგებას, ახალი სტანდარტების შესაბამისად. ახალ სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი, რაც განხორციელდა მსს ფასს სტანდარტის სათანადო მოთხოვნების მიხედვით.

ყველა თანხა წარმოდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

ამ განსჯის დროს კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის მიმდინარე მდგომარეობა, მომგებიანობა, ფულადი ნაკადები, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას განაგრძოს ფუნქციონირება, ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საადრიცხვო ღირებულებაზე ფინანსური

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე, იმოქმედებს შემოსავლებსა და ხარჯებზე, სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში. ფაქტური შედეგები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან, შეფასებების გადახედვა მოხდება ყოველწლიურად და კორექტირებები აისახება იმ წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შესაბამისი ცვლილება მოხდა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია, მოკლევადიანად და გრძელვადიანად აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, წარმოადგენილია მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
- ი აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს ან მათ ექვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მათი გადაცლა ან გამოყენება, ვალდებულების დასაფარად მინიმუმ 12 თვის განმავლობაში, ანგარიშგების შედგენის თარიღიდან.
- ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის ან 12 თვის განმავლობაში (რომელიც უფრო გრძელია), ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ, ვალდებულების დაფარვის მინიმუმ 12 თვით გადავადების უპირობო უფლება, არ არსებობს.
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან შიდა და გარე ფაქტორები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება, შესაძლებელია, ვერ მოხდეს.

ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სხვა არასაოპერაციო ხარჯების ნაწილში.

შეკეთება-განახლების ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით და შედის საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან როდესაც ის მზად არის ექსპლუატაციისათვის. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს.

ჩამოწერა ხდება მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისათვის, როდესაც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

3.1. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის ღირებულებას.

სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

კომპანიის მარაგები ძირითადად მოიცავს პროდუქციის მარაგებს, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო მომსახურეობის გაწევასთან.

კომპანიაში მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

3.2. ამონაგების აღიარება

სამი ტიპის ამონაგების აღიარება ხდება:

- ამონაგები საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან, სახელმწიფო პროგრამებიდან და შიდა სტანდარტებიდან.

ამონაგების აღიარება ხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების ჩატარების მიხედვით, რაც დასტურდება მხარეების მიერ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებით და არის საფუძველი შემკვეთის მიმართ მოთხოვნის წარმოშობისას.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

პროცენტის ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად, კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ:

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების თანახმად შეიცვალა მოგების გადასახადი.

ახალი კანონის მიხედვით გადასახადის განაკვეთი ნულოვანია იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, ასევე, ზოგიერთი ტრანზაქცია რაც საგადასახადო კოდექსის მიხედვით ითვლება მოგების განაწილებად. სხვა გადასახადები (გარდა მოგების გადასახადისა) აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, რა პერიოდშიც წარმოიქმნება შესაბამისი ვალდებულება.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში არსებული ფულისაგან და ბანკის ანგარიშებისაგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურება.

ამონაგები	2021 წ	2022 წ
ამონაგები მომსახურობიდან	3,884,017.00	2,990,105
სულ ამონაგები	3,884,017.00	2,990,105
შრომის ანაზღაურება	709610	620085
ცვეთა და ამორტიზაცია	94597	87424
იჯარის ხარჯი	254025	254025
შეკეთების და შენახვის ხარჯი	6042	4238
კომუნალური ხარჯი	39589	47293
საკონსულტაციო ხარჯი	10048	9514
საკანცელარიო ხარჯი	6228	6705
საბანკო ხარჯი	4414	2715
ტრანსპორტირების ხარჯი	21938	31134
კომუნიკაციის ხარჯი	7628	7494
სხვა ხარჯი	102329	143642
სულ, ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	1,256,448.00	1,214,269
ფინანსური ხარჯი	2021 წ	2022 წ
სხვა ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯი	48,439	97,267


მოგების გადასახადის ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები. ახალი კოდექსით მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მესაკუთრეებზე დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადი დაიანგარიშება განაწილებული დივიდენდის ოდენობიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებული დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

ამასთანავე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის გადახდილი დივიდენდი არ იბეგრება.

ამავე კოდექსში ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადით შეიძლება დაიბეგროს გარკვეული ოპერაციები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

დირექტორი  ი.ქაროსანიძე